საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N 01-09/333

ქ. ბათუმი 04 მაისი, 2018 წ

2017-2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობის გამო ბსუ-ს სტუდენტთა სტატუსის შეჩერების შესახებ ბრძანების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის 2018 წლის 01 მაისის MES 6 18 00496333, ტურიზმის ფაკულტეტის დეკანის 2018 წლის 23 აპრილის MES 4 18 00446624, განათლების ფაკულტეტის დეკანის 2018 წლის 11 აპრილის MES 7 18 00402878, იურიდიული ფაკულტეტის დეკანის 2018 წლის 12 აპრილის MES 6 18 00406837, ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის 2018 წლის 19 აპრილის MES 8 18 00437826, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის 2018 წლის 30 აპრილის MES 4 18 00489889, ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი 2018 წლის 26 აპრილის MES 0 18 00470777, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილის 2018 წლის 20 აპრილის MES 1 18 00441365 და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 2018 წლის 30 აპრილის MES 5 18 00494514 მოხსენებითი ბარათების საფუძველზე გამოიცა ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 02 მაისის №01-09/309 ბრძანება ,,2017-2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობის გამო ბსუ-ს სტუდენტთა სტატუსის შეჩერების შესახებ ბრძანების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ".

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 14 ნოემბრის №1106 ბრძანების 66-ე მუხლის მე-6 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის თანახმად: უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია: ,,ა) ადმინისტრაციული ან/და აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობა".

ზემოაღნიშნული წესის გათვალისწინებით, ,,2017-2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობის გამო ბსუ-ს სტუდენტთა სტატუსის შეჩერების შესახებ ბრძანების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 02 მაისის №01-09/309 ბრძანების საფუძველზე კანონშესაბამისია ზემოაღნიშნული ბრძანების დანართი N1-ით განსაზღვრულ სტუდენტებს 2017-2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობის გამო შეუჩერდეთ ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-56-ე, 72-78-ე, 95-101-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე–13 და 66–ე მუხლების, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი"-ს, ,,ბათუმის შოთა

რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2017-2018 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის №38 დადგენილების, ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის 2018 წლის 01 მაისის MES 6 18 00496333, ტურიზმის ფაკულტეტის დეკანის 2018 წლის 23 აპრილის MES 4 18 00446624, განათლების ფაკულტეტის დეკანის 2018 წლის 11 აპრილის MES 7 18 00402878, იურიდიული ფაკულტეტის დეკანის 2018 წლის 12 აპრილის MES 6 18 00406837, ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის 2018 წლის 19 აპრილის MES 8 18 00437826, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის 2018 წლის 30 აპრილის MES 4 18 00489889, ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი 2018 წლის 26 აპრილის MES 0 18 00470777, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილის 2018 წლის 20 აპრილის MES 1 18 00441365 და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 2018 წლის 30 აპრილის MES 5 18 00494514 მოხსენებითი ბარათების, ,,2017-2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობის გამო ბსუ-ს სტუდენტთა სტატუსის შეჩერების შესახებ ბრძანების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 02 მაისის №01-09/309 ბრძანების, ბსუ-ს სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემის მონაცემების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2017-2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობის გამო პირებს დანართი №1-ის შესაბამისად შეუჩერდეთ ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი.

2. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით გამოქვეყნდეს ბსუ-ს ფაკულტეტების დეკანატებთან და კანცელარიასთან თვალსაჩინო ადგილებზე (საინფორმაციო დაფებზე), ასევე განთავსდეს ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე.

3. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამისის სტრუქტურულ ერთეულებს, სტუდენტებს და განთავსდეს მათ პირად საქმეებში.

4. ბრძანება აისახოს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

6. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**